



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080159310889418

№ 1887

07 / აგვისტო / 2018 წ.

**შპს „ორბიტა“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**აღწერილობითი ნაწილი**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 2 და 12 ივლისს წარმოდგენილ იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 29 ივნისის №03/6957 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №5526) და 2018 წლის 11 ივლისის № 03/7329 დაბუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 5798), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა ამხანაგობა „მშენებლის“ (ს/ნ: 200286056) მიერ NAT170004854 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2017 წლის 20 ივლისის №127 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

დადგენილია, რომ შპს „ორბიტა“ (ს/ნ: 406102863) წარმოადგენს ამხანაგობა „მშენებლის“ (ს/ნ: 200286056) მონაწილეს. შესაბამისად, მას სააგენტომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე [lelac3331@gmail.com](mailto:lelac3331@gmail.com), 2018 წლის 17 ივლისის № 2568 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-7 მუხლის 8<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 აგვისტოს № 1877 განკარგულებით ამხანაგობა „მშენებელი“ (ს/ნ: 200286056) NAT170004854 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2017 წლის 20 ივლისის №127 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში.

**სამოტივაციო ნაწილი**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტი/მიმწოდებელი ამხანაგობაა, შავ სიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების მიმართ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 აგვისტოს № 1877 განკარგულებით ამხანაგობა „მშენებელი“ (ს/ნ: 200286056) NAT170004854 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2017 წლის 20 ივლისის №127 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში. შესაბამისად, შპს „ორბიტა“ (ს/ნ: 406102863), როგორც ზემოაღნიშნული ამხანაგობის წევრი, უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

**სარეზოლუციო ნაწილი**


სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8<sup>1</sup> პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ორბიტა“ (ს/ნ: 406102863) 2018 წლის 8 აგვისტოს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამვდასმულია  
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე